

საქართველოს ორგანული კანონი

**საქართველოს ორგანულ კანონში - „იმპიჩმენტის შესახებ“
ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1.

საქართველოს ორგანულ კანონში „იმპიჩმენტის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №46, 21/11/1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. იმპიჩმენტი არის კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენების წესი.“

2. მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სისხლის სამართლის დანაშაული.“

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5. იმპიჩმენტის წესით, თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე წარდგინება დასკვნისათვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს საკითხის აღძვრიდან 30 დღის ვადაში.“

4. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის გადაყენების საკითხს კონსტიტუციური წარდგინების სახით წარდგინების ავტორი დასკვნისთვის გადასცემს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.“

5. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკითხს განიხილავს და საქართველოს პარლამენტს დასკვნას წარუდგენს საკითხის დასკვნისათვის მიღებიდან 30 დღის ვადაში.“

6. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“12. თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით არ დაადასტურა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან მის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, მაშინ ამ თანამდებობის პირის მიმართ წყდება იმპიჩმენტის პროცედურა.“

7. მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან მის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, სასამართლოდან დასკვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი იწყებს დასკვნის განხილვას.“

8. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“14. საქართველოს პრეზიდენტის ქმედობაზე დასკვნის წარდგენიდან 15 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დასმისა და, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.“

9. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. დაუშვებელია იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

2. საქართველოს პარლამენტი იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს ან განაგრძობს საგანგებო და საომარი მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, პარლამენტის უახლოესი (მორიგი ან რიგგარეშე) სესიის პირველსავე სხდომაზე.“

10. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა ქმედობაზე პარლამენტში დასკვნის წარდგენიდან 15 დღის ვადაში კენჭისყრაზე დაისმება ამ თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხი.“

11. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“19. თუ ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ქმედობაზე სასამართლოს დასკვნის წარდგენიდან 15 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, ან ამ პირის თანამდებობიდან გადაყენებას მხარი არ დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრთა კონსტიტუციით გათვალისწინებულმა აუცილებელმა რაოდენობამ, საკითხი ითვლება მოხსნილად და იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.“

12. მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, აგრეთვე მე-10 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

"იმპიჩმენტის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 63-ე და 75-ე მუხლებთან „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს ორგანული შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„იმპიჩმენტის შესახებ“ ორგანული კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები ორგანული კანონის 1-ელ, მე-2, მე-5, მე-7, მე-8, მე-10, მე-12, მე-13, მე-14, მე-17, მე-18 და მე-19 მუხლებში. კონსტიტუციის 63-ე მუხლში ასახული ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებაში უზენაესი სასამართლოს მონაწილეობა სრულიად გამოირიცხა და პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში კონსტიტუციური წარდგინება დასკვნისთვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს. ამავდროულად გაუქმდა შუალედური პროცედურა, რომელიც გულისხმობდა იმპიჩმენტის საკითხის საბოლოო კენჭისყრაზე დაყენებისთვის აუცილებელ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის თანხმობით მიღებულ გადაწყვეტილებას. 30 დღიდან 15 დღემდე შემცირდა პარლამენტისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი ვადა. აგრეთვე დადგინდა, რომ თუ პარლამენტი აღნიშნულ ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია. ამავდროულად, კონსტიტუციის 63-ე მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების კანონმდებლობაში იმპლემენტაციაზე მუშაობამ თავისთავად გამოიწვია კონსტიტუციის 75-ე მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებაც, რაც ასახულია კანონპროექტში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი

ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ აკისრებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ

ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ.ა) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ - „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“.

დ.ბ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.